უნისონი
სადაზღვევო კომპანია

„28“ თებერვალი 2012წ.

რწმუნებულება

შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“-ს (რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 03.01.2011 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი №404393152; მისამართი: საქართველოს, ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №15), შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ვასილ ახრახაძე** (დაბადებული 1971 წლის 31 მაისს ქ. თბილისში, მისამართი: ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქ. №6; საქართველოს მოქალაქის პირადობის პოწმობა №დ 1000782, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 27.09.2006 წელს, პირადი ნომერი №01017006305), შემდგომში მოხსენიებული როგორც „მარწმუნებელი“, ვანიჭებ უფლებამოსილებას „კომპანიის“ ოფის მენეჯერ **მირანდა კვარაცხელიას** (დაბადებული რუსეთში 24.05.1980 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ანტ. კათალიკოსის ქ. №32; პირადობის მოწმობა №ბ 1170345, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 29.04.2008 წელს, პირადი ნომერი №01015007297), შემდგომში მოხსენიებული როგორც „რწმუნებული“, მასზედ, რომ მან („რწმუნებულმა“), წინამდებარე რწმუნებულების საფუძველზე, წარმოადგინოს „კომპანია“ ქ. თბილისის მერიასა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამსახურებში **იმ მიზნით, რომ „კომპანიამ“ მიიღოს მანათობელი სარეკლამო ყუთის განთავსების ნებართვა.**

ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად, „რწმუნებული“ უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, მათ შორის ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის დოკუმენტს, განახორციელოს ყველა აუცილებელი შესაბამისი გადახდები და ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ ემსახურება ამ რწმულებულბით გათვალისწინებული დავალების შესრულებას და აუცილებელია „კომპანიის“ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია 2012 წლის 28 თებერვალს და მოქმედებს 2012 წლის 01 აპრილამდე.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე („მარწმუნებელი“):

/ვასილ ახრახაძე/

უნისონი
"COMPANY UNISON" LTD

საქართველო, ქ. თბილისი 0160
ბუდაპეშტის ქ.№15
ტელ: +995 32 991 991
ფაქსი: +995 32 952 240
unison@unison.ge
www.unison.ge